გურთიად
GÜRTİAD
ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ
კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 01 – 08 Mayıs / მაისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon/ინფლაცია
3 716.9	4 763.5	5.1 %	11.6 %	6.9%

Hükümetin Krize Karşı Mücadele Planı
მთავრობის ანტი კრიზისული გეგმა

7 Mayıs 2020 tarihinde Gürcistan Başbakan Hükümet toplantısını gerçekleştirdi. Toplantıda salgın nedeniyle ilan edilen kısıtlamaların kaldırılması ve turizm sektörü için planlanan Kriz Sonrası süreçler konuşuldu. Gakhari'nın açıkladığı gibi Hükümet tarafından geliştirilen Krize karşı mücadele Planı başlangıç olarak turizm sektörün, sonraki aşamalarda ise tarım sektörün, inşaat sektörün ve son olarak eğitim sektörün desteklemeyi hedefliyor.

Başbakanın açıkladığı gibi 11 Mayıs'tan itibaren Tiflis'e, 14 Mayıs'tan itibaren Gardabani'ye ve 18 Mayıs'tan itibaren Marneuli'ye seyahate ilgili tüm kısıtlamalar kaldırılacak.

Ayrıca 11 Mayıs'tan itibaren her tür üretim ve mağazalar (giyim ve ayakkabı mağazalar hariç) açılacak.

Bununla beraber Hükümet toplantısında, Gürcistan Ekonomi Bakanı Natia Turnava, turizm sektörü için uygulanacak krizle mücadele planı sundu. Bahsi geçen plana göre turizm sektörü: oteller, restoranlar, yiyecek ve içecek tesisler, tur operatörler ve rehberler 2020 yılı emlak vergisinden tamamen muaf tutulacak. Bununla beraber listelenen nesneler için gelir vergisi 2020 yılın sonuna kadar ertelenecek ve devlet, yurtdışındaki turizm fuarların katılımının eş-finansmanı yapacak.

Ayrıca yıllık cirosu 20 milyon GEL'den az olan oteller için, devlet 6 ay boyunca ilk 5 milyon GEL için kredi faizlerinin %80'ni sübvanse edecek. Yiyecek ve içecek tesisler ve seyahat şirketler, devlet kredi garanti programından yararlanacak. Turizm sektöründe çalışan rehberler, müzelere ücretsiz ziyaret edebilecekler ve özel eğitim programlara katılacaklar.

Turizmin yenileme süreci hakkında konuşan Ekonomi Bakanı ülkenin rekabet üstünlüğü özellikle vurgulamıştır. Salgın döneminde ülkedeki 83 otelde, 2 500 kişi tarafından hizmet vererek özel karantina bölgeleri açıldı ve 19 000 kişi ağırladı. Bakan'a göre, bütün bunlar önemli deneyim ve Gürcistan'a turizm piyasasında yeni bir şekilde konumlandırma imkanı verecek.

Bakan'a göre, güvenli turizm bölgelerin kurulduktan sonra, 15 Haziran'da iç turizm başlatılacak ve 1 Temmuz'dan itibaren kara ve hava sınırlarının açıldıktan sonra uluslararası turizm başlatılacak.

https://bit.ly/2L70liu

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

2020 წლის 7 მაისს საქართველოს პრემიერ მინისტრმა მთავრობის სხდომაზე პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის გეგმის შემდეგ ეტაპზე ისაუბრა. შეზღუდვების მოხსნის გარდა მან ასევე ისაუბრა კრიზისის შემდგომ ეტაპებზე რომელიც თავდაპირველად მოიცავს ტურიზმის სექტორის, ხოლო შემდგომი პერიოდისთვის სოფლისა და ფერმერული მეურნეობების, მშენებლობისა და ბოლოს განათლების სექტორის მხარდამჭერ გეგმას.

პრემიერის განცხადებით 11 მაისიდან თბილისში, 14 მაისიდან რუსთავში, ხოლო 18 მაისიდან გარდაბანში შესვლა-გასვლაზე დაწესებული ყველა შეზღუდვა მოიხსნება.

აღნიშნულის გარდა 11 მაისიდან ამუშავდება ყველა ტიპის წარმოება და გაიხსნება ყველა ტიპის მაღაზია, გარდა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისა.

აღნიშნულის გარდა მთავრობის სხდომაზე საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ წარადგინა ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა. აღნიშნული გეგმის მიხედვით ტურიზმის სექტორი: სასტუმროები, კვების ობიექტები, ტურ ოპერატორები და გიდები, მთლიანად გათავისუფლდებიან 2020 წლის ქონების გადასახადისგან, ხოლო საშემოსავლო გადასახადი გადაუვადდებათ 2020 წლის ბოლომდე. აღნიშნულთან ერთად სახელმწიფოს თანადაფინანსებით მოხდება ტურისტულ გამოფენებზე მათი მონაწილეობის თანადაფინანსება.

იმ სასტუმროებს, რომელთა წლიური ბრუნვა 20 მილიონ ლარზე ნაკლებია, სახელმწიფო მოახდენს მათი სესხების პროცენტის 80%-ის სუბსიდირებას პირველ 5 მილიო ლარზე, 6 თვის განმავლობაში. კვების ობიექტები და ტურისტული კომპანიები კი ისარგებლებენ სახელმწიფოს საკრედიტო-საგარანტიო სქემით. ტურისტულ სექტორში დასაქმებული გიდები კი ისარგებლებენ უფასო ვიზიტებით მუზეუმებსა და დაცულ ტერიტორიებზე და მოხდება მათი ჩართვა გიდების გადამზადების პროგრამაში.

რაც შეეხება ტურიზმის აღდგენის გეგმას, ამ საკითხზე საუბრისას ეკონომიკის მინისტრმა ძირითადი აქცენტი ახალ კონკურენტულ უპირატესობაზე გააკეთა. პანდემიის პერიოდში ქვეყნის 83 სასტუმროში იყო გახსნილი საკარანტინო ზონა, სადაც 19 000-მდე პირი იყო განთავსებული და მათ მომსახურებას უწევდა 2 500-მდე ადამიანი. ეს ყველაფერი კი მინისტრის განმარტებით უდიდესი გამოცდილებაა და ამ ყველაფრის საშუალებით შესაძლებელია ბაზარზე ახლებურად პოზიციონირება.

მინისტრის განმარტებით, უსაფრთხო ტურისტული ზონების შექმნის შემდეგ 15 ივნისიდან დაიწყება შიდა ტურიზმის ამოქმედება, ხოლო საერთაშორისო ტურიზმის ამოქმედება, სახმელეთო და საჰაერო საზღვრების გახსნის პარალელურად 1-ლი ივლისიდან მოხდება.

https://bit.ly/2L70liu

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Korona Virüs

კორონა ვირუსი

Son istatistik verilerine göre dünya çapında Korona Virüs vakalarının sayısı 4 milyona ulaşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı 3 932 626, vefat eden kişi sayısı – 271 024, iyileşen kişi sayısı – 1 349 138. En çok vaka sayısı ABD, İspanya, İtalya, Birleşik Krallık ve Rusya'da görülmüştür. Konu ile alakalı diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 4 მილიონს მიაღწია. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 3 932 626 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 271 024 პაციენტი, ხოლო გამოჯანმრთელდა 1 349 138 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული ამ ეტაპისთვის აშშ-ს, ესპანეთს, იტალიას, გაერთიანებულ სამეფოს და რუსეთს ჰყავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი სტატისტიკა ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka ფაქტი	Ölüm გარდაცვალება	İyileşme გამოჯანმრთელება	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	1 292 879	76 942	217 251	998 686
İspanya / ესპანეთი	256 855	26 070	163 919	66 866
İtalya / იტალია	215 858	29 958	96 276	89 624
Birleşik Krallık / დიდი ბრიტანეთი	206 715	30 615	N/A	175 756
Rusya / რუსეთი	187 859	1 723	26 608	159 528
Fransa / საფრანგეთი	174 791	25 987	55 027	93 777
Almanya / გერმანია	169 430	7 392	141 700	20 338
Brezilya / ბრაზილია	135 779	9 190	55 350	71 233
Türkiye / თურქეთი	133 721	3 641	82 984	47 096
İran / ირანი	103 135	6 486	82 744	13 905
Gürcistan / საქართველო	623	10	288	325
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	3 932 626	271 024	1 349 138	2 312 464

2020 Yılı Nisan Ayında Gürcistan'da Enflasyon
ინფლაცია საქართველოში 2020 წლის აპრილი

Gürcistan milli istatistik kurumun verilerine göre, 2020 yılı Nisan ayında ülkedeki enflasyon seviyesi bir önceki yılın aynı verilerine göre %4.6 oranı ile artmıştır. Yıllık enflasyon oranı ise bu dönemde %6.9 olarak belirlenmiştir.

Fiyatlarındaki önemli artış gıda ve alkolsüz içecek grubuna olmuş: Meyveler - %17.7; Sebze - % 7.1; Balık - %6.2; Çay ve Kahve - %4.4; Şeker, Reçel ve Diğer Tatlılar - %3.0; Ekmek ve Ekmek Ürünleri - %1.6; Et ve Et Ürünleri - %1.2; Yağlar - %0.9.

Aynı zamanda süt, peynir ve yumurta fiyatları %0.3 oranında düştü.

Aşağıdaki tabloda, farklı emtia grupların fiyat değişim oranlarını görebilirsiniz.

	%	
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	16.1	Gıda ve alkolsüz içecekler
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	2.3	Alkollü içecekler ve Sigaralar
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-2.2	Giyim ve ayakkabı
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	3.7	Su, Elektrik, Gaz
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	9.6	Mobilya, Ev Eşyaları, Ev Bakımı
ჯანმრთელობის დაცვა	4.9	Sağlık
ტრანსპორტი	-0.4	Ulaşım
კავშირგაბმულობა	-0.5	Haberleşme
დასვენება, გართობა და კულტურა	-4.3	Dinlenme, Eğlence ve Kültür
განათლება	3.6	Eğitim
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.8	HoReCa
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	8.0	Çeşitli Mallar ve Hizmetler
ინფლაციის დონე / ENFLASYON ORANI	6.9	

2020 წლის აპრილში წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 4.6%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6.9 პროცენტი შეადგინა.

ფასების განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე: ხილი 17.7% ბოსტნეული 7.1%, თევზეული 6.2% ყავა და ჩაი 4.4%, შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული 3.0%, პური და პურპროდუქტები 1.6%, ხორცი და ხორცის პროდუქტები 1.2%, ზეთი და ცხიმი 0.9%.

ამასთან, ფასები შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე -0.3%.

ზემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ ფასების ცვლილების მაჩვენებლები სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფებზე წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (08.05.2020)

USD/GEL – 3.2030 TRY/GEL – 0.4413 EUR/GEL – 3.4540 GBP/GEL – 3.9598

GEL/USD

01 – 08 Mayıs 2020

TRY/USD

01 – 08 Mayıs 2020

TRY/GEL

01 – 08 Mayıs 2020